



ტარიელ ფუტყარაძე, სოფიო კეკუა, კესო გეჯუა, მიხეილ ლაბაძე

სინოპის ილში მცხოვრებ მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლები და მათი ქართული მეტყველების ზოგი თავისებურება¹

1. მუჰაჯირთა განსახლება.

ირან-ოსმალეთისაგან შევიწროებულმა ქართულმა სამეფოებმა XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ცენტრალურ კავკასიაში შემოსვლის უფლება მისცეს ერთმორწუნე რუსეთის იმპერიას, მაგრამ რუსეთს თავისი ინტერესები ჰქონდა: რუსეთის იმპერიამ ინტენსიურად დაიწყო კავკასიაში ირანისა და ოსმალეთის შევიწროებაც და ქართული სამეფო-სამთავროების განადგურებაც.

ადგილობრივი ქართველების გამუსლიმანებით ოსმალეთის იმპერია შეეცადა, შეენარჩუნებინა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორია, მაგრამ 1877-1878 წლების ოსმალეთ-რუსეთის ომის შემდეგ ოსმალეთი იძულებული გახდა, დაეტოვებინა სამხრეთ საქართველოს დიდი ნაწილიც. რუსეთის იმპერიას ხელს არ აძლევდა ქართველებით დასახლებული სასაზღვრო ზოლი, ამიტომ ხელი შეუწყო ქართველ მუსლიმანთა საქართველოდან აყრას და შუა ოსმალეთში გადასახლებას (დაწვრილებით იხ.: ასანი, 2016:42-43).

ამასთან, როგორც ოსმალური დოკუმენტები ცხადჰყოფენ, თურქეთის რესპუბლიკის ამჟამინდელი ქ. სინოპი (და სინოპის ილის ტერიტორია) იყო კავკასიიდან გემებით გადმოსულ მუჰაჯირთა თავმოყრის და გადანაწილების უმნიშვნელოვანესი პუნქტი. თურქი ისტორიკოსი ჰაქან ასანი უთითებს, რომ თუ პირველი მუჰაჯირობის დროს (1864-1870 წწ.) კავკასიიდან სინოპში გადმოყვანილთა შორის ჩერქეზები ჭარბობდნენ, მეორე მუჰაჯირობის დროს (ანუ, რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომის შემდეგ) გადმოყვანილ მუჰაჯირთა უმეტესობა უკვე ქართველი იყო (ასანი, 2016:55).

¹ სტატია დამუშავებულია შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით, ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2018 წლის კონკურსში გამარჯვებული პროექტის „ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის კანონზომიერებები ქართველურენოვანი მუჰაჯირების შთამომავალთა მეტყველების მიხედვით“ (FR-18-14869, ხელმძღვანელი - პროფ. ტარიელ ფუტყარაძე) ფარგლებში.



2019 წლის ჩვენი ექსპედიციის მასალების მიხედვით², მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების ნაწილი კომპაქტურად სახლობს:

სინოპის ილის მერქეზ-ილჩეს სოფლებში: **ლალა** (Lala köyü), **მენექსე** (Menekse köyü), **ალიოღლი** (Alioğlu köyü); **კორუჯული** (Korucuk köyü), **ორდუ** (Ordu köyü), **ჩობანლარი** (Çobanlar köyü), **კაბალი** (Kabalı köyü), **გოლლუ** (Göllü köyü), **ერიკლი** (Erikli), **ყარაფუნდარი** (Karapınarı köyü), **აჰმეთერი** (Ahmetyeri köyü), **ავლიანი** (Avlıyanı köyü), **თანრიალი** (Tanrıyalı köyü).

სინოპის ილის ერფელექის ილჩეს სოფლებში: **ერფელედი** (Erfelek köyü), **ჰამიდიე** (Hamidiye), **ვეისელი** (Veysel köyü), **დეღერმენჯილი** (Değermenci köyü), **აბდურაჰმანფაშა** (Abdürrahmanpaşa köyü), **ასანდერე** (Hasandere köyü), **სახარამბაში** (Sakaranbaşı köyü), **კილიჯლი** (Kılıçlı köyü), **თოსუმბეი** (Tosunbey), **ბაშარანი** (Başaran), **თექე** (Tekke), **ენიჩამი** (Yeniçam köyü);

სინოპის ილის გერზეს ილჩეს სოფლებში: **აკყირაჯი** (Akkıraç köyü), **იუვალი** (Yuvalı), **ხიზარჩაი** (Hızarcay köyü);

სინოპის ილის აიანჯიქის ილჩეს სოფლებში: **ბუიუქდუზი** (Büyükdüzü köyü), **ომერდუზი** (Ömerdüzü);

სინოპის ილის თურქელის ილჩეს სოფლებში: **საზკიშლა** (Sazkışla köyü), **აჯიქიოი** (Köseretaş mahallesi, Hacı köyü).

ამათგან, ზოგი სოფელი მდებარეობს ზღვის სანაპიროზე, ზოგიც - სანაპიროდან 20-30 კმ.-ის მოშორებით, მთებში. ბევრგან, ქართველებთან ერთად სხვებიც (თურქები, ჩერქეზები, აბაზები და ა.შ.) ცხოვრობენ. მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლები არიან ასევე უშუალოდ ქალაქ სინოპში.

ჩვენი ჯგუფი სამუშაოდ იმყოფებოდა სინოპის ცენტრში მცხოვრებ ქართველებთან და, ასევე, სინოპის ილის ქართველი მუჰაჯირებით დასახლებულ შემდეგ სოფლებში: **დიბექლიში**, **ლალაში**, **დეღერმენჯილსა** და **კილიჯლიში**.

²ექსპედიციის მონაწილენი: ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი ტ. ფუტყარაძე, დუზჯეს უნივერსიტეტის დოცენტი მაკა სალია, ფილოლოგიის დოქტორი მიხეილ ლაბაძე, ფილოლოგიის დოქტორი სოფიო კეკუა, ფილოლოგიის დოქტორი ფეხი ჩელები, დოქტორანტი კესო გეჯუა.



ჩვენი ექსპედიციის მასალების მიხედვით ირკვევა, რომ მე-19 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში სინოპში დასახლებული ქართველი მუჰაჯირები მოსულან **ბათუმიდან, ბორჩხიდან, ხეზიდან** (ხეზა - კირნათთან მდებარე ძველი ქართული სოფელი), **მაჭახელიდან, ჩურუქსუდან**. კერძოდ:

ბორჩხელები ცხოვრობენ როგორც ქალაქში, ასევე სინოპის სოფლებშიც. ქალაქ სინოპში მცხოვრები ერთ-ერთი რესპოდენტის თქმით, მისი წინაპრები ართვინიდან, ბორჩხიდან მოსულან, რომლებიც პირველად სოფ. ლალაში დასახლებულან, ხოლო მოგვიანებით ზოგიერთი საცხოვრებლად ქალაქ სინოპში გადასულა. მთქმელი წინაპრების ქართული სოფლის სახელად „ნაჟიეს“³ ასახელებს⁴.

მეორე რესპოდენტის თქმით, მისი წინაპრებიც ბორჩხელები, ხეზელები არიან. როგორც საუბრიდან ჩანს, იგი მეხუთე თაობას წარმოადგენს: „ჰაიდან მოვე ჩვენ? ჩვენ ართვინ, ბორჩხა, ხეზა ქო, შუბან მაალესი. ხეზა სოფელია, ხეზა შუბალის მაალესი მონასული ვართ აქ. აქ ვინ მოვდა: ჩემი ბაბოს დედეს დედემ მონასულია. მე დავთვალო: ამაღნა დედაა ერთი, აქა მოკდა. იმის უკან ჰასანა დედაა მოკდა, იმის უკან მემედნა დედაა მოკდა, იმის უკან ბაბაა მოკდა, ახლა სირაა ჩემზე მოჰდა, მე მოჰკდი ხუთი, ჩემი შვილი ექსი, იმის შუილი, შუიდი, ერთის თორუნი რუა“⁵.

გარდა ქალაქისა, ბორჩხელები შეგვხვდნენ ასევე სოფლებშიც: დიბექლისა და ლალაში. ერთ-ერთი რესპოდენტი ამბობს: „ბორჩხადან მოსულან, ამა ბორჩხას ჰიდან მოვდნენ არ ვიცი, ბათუმიდან მოვდნენ, აჭარისტანიდან მოვდნენ, ისე არ ვიცი“⁶.

რაც შეეხება ბათუმიდან (იგულისხმება ბათუმის ოლქი) გადმოსახლებულ ქართველებს - ისინი ცხოვრობენ ერფელექის ილჩეს სოფლებში: **ერფელექში, დელირმენჯილსა და ყილიჯლიში**. მთქმელებმა იციან, რომ მათი წინაპრები სინოპში ბათუმიდან გადმოუსახლებიათ, მაგრამ კონკრეტულად რომელი სოფლიდან - არ ახსოვთ. „...გემით მოიდენ აქ. ჩვენები, აქედან, ბათომიდან-ქი მოსულან,

³ ნაჯვია // ნაჭვია სოფელია თურქეთის რესპუბლიკის ართვინის ილის მურდულის ილჩეში. ამჟამად მისი ოფიციალური (თურქული) სახელწოდებაა **Fıstıklı köyü**

⁴ მთქმელი: ნევზათ ქუჩუქ (პატინოლლი), 68 წლის. სინოპი

⁵ მთქმელი: შაინ გულ, 77 წლის. სინოპი.

⁶ მთქმელი: ჰიქმეთ გაირეთინი, 70 წლის. სინოპი, სოფ. დიბექლი.



სინაპ გარეთ გამოსულან“⁷; „ჩემი ბაბუნე სამი წლისა ყოფილა, ბათუმიდან აქ მოსულან იმთე, ბათუმიდან“⁸... ყილიჯლიში შეეხვდით ქართველს, რომლის მონათხრობი ასეთია: „ბათემ იძახიან, ამა მე სოფლიდან მოსული უარ, ამა რომელი სოფელი? ჭოროდის გაღმა-გამოდმა ყანები მქონდენუო იძახიდენ იმ დედაბრებ ქალმა, იმ ბერ ქალმა ისე იძახუის და რომელი სოფელი არ უიცი“⁹... ლოგიკურია დავუშვათ, რომ ყილიჯლიში დასახლებული ქართველები სოფელ კირნათიდან ან სოფელ მარადიდიდან წამოვიდნენ.

ჩვენთვის რთული იყო დაგვედგინა სინოპელ მუჰაჯირ ქართველთა ამჟამინდელი რაოდენობა, რამდენადაც ოფიციალურად არ აღირიცხება თურქეთში მოქალაქეების ეთნიკური წარმომავლობა. ადგილობრივი მოსახლეობისგან მოპოვებულ ინფორმაციას თუ დავეყრდნობით, სინოპის ილში ცხოვრობს დაახლოებით 22 000 ეთნიკური ქართველი.

2. მუჰაჯირთა ენობრივ-ეთნიკური თვითაღქმა და სამეტყველო კოდები.

ჩვენ მიერ მოპოვებული მასალების მიხედვით, სამეტყველო კოდების ფლობისა და შერევის მიხედვით, მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლები პირობითად სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

- 50 წელს გადაცილებული პირები: III თაობა - უფროსი თაობა.
- 25-დან 50 წლამდე პირები: II თაობა - შუა თაობა.
- 25 წლამდე პირები: I თაობა - უმცროსი თაობა.

სინოპელ მუჰაჯირთა შორის რესპოდენტების ძირითად ნაწილს მესამე თაობის წარმომადგენლები შეადგენდნენ, რომელთაც კარგად აქვთ შენარჩუნებული ქართული ენა (აჭარული დიალექტი). მეორე თაობის წარმომადგენლებში ნაკლებია ქართული ენის ფლობა - ხშირ შემთხვევაში ესმით, მაგრამ ვერ ლაპარაკობენ. რაც შეეხება 25 წლამდე თაობის წარმომადგენლებს - ისინი არათუ ვერ ლაპარაკობენ - არც ესმით ქართული. აქედან გამომდინარე არსებობს დიდი საშიშროება იმისა, რომ დაიკარგოს ქართული ენა ქართველებით დასახლებულ ამ მხარეში. საყურადღებოა

⁷ მთქმელი: ჰიქმეთ იეში, 82 წლის. სოფ. დედირმენჯილი.

⁸ მთქმელი: ნაზირე ოზან, 71 წლის. ერფელეკი.

⁹ მთქმელი: იუსუფ ოზდემირი. სოფ. ყილიჯლი.



ერთი ფაქტი: სინოპში მცხოვრები მუჰაჯირების დიდი ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ ყველამ არ იცის ქართული ენა, უმეტესობა თავს თვლის ეთნიკურ „გურჯად“.

ქართველ მუჰაჯირთა სინოპელ შთამომავლებში მშობლიური ენა კარგად არის შემონახული III თაობის ეთნიკურ ქართველებში. ექსპედიციის მონაწილეებთან საუბრისას უფროსი თაობის პირები სასაუბრო ენად ირჩევდნენ ქართულ ენას (აჭარულ დიალექტს). მათ აგრეთვე იციან **თურქული ენაც**, მაგრამ მათი თურქული წარმოთქმა „ქართული აქცენტისაა“, თურქულად საუბრისას ხშირია ქართული სიტყვების გამოყენების შემთხვევები. თურქულის არმცოდნე პირები ჩვენი ექსპედიციის დროს აღარ შეგვხვდრიან; სამაგიეროდ, დღითიდღე იზრდება ქართულის არმცოდნეთა რაოდენობა.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი არსებითი გარემოება:

თურქეთის სხვა რეგიონების მსგავსად, სინოპში მცხოვრებთა აჭარული დიალექტის გადარჩენას სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქართულ-თურქულ სამეტყველო კოდთა აღრევა; არაა გამორიცხული, რომ სინოპელმა ქართველებმაც დაკარგონ ისტორიული დედაენა. აქაც გამოიყოფა სამეტყველო კოდთა აღრევის ხუთი ძირითადი ქვეტიპი:

- 1) თეგ-სვიჩინგი (Tag-switching) - A ენის/დიალექტის ფრაზის თავში ან ბოლოში B ენის/დიალექტის ლექსიკური ერთეულის (ე.წ. „თეგის“ - Tag) დართვა;
- 2) ინტრასენტენციალური (ფრაზის შიდა) გადართვა (Intra-sentential switching) - A ენის/დიალექტის ფრაზაში B ენის/დიალექტის ლექსიკური ერთეულის ჩასმა;
- 3) ექსტრასენტენციალური (ფრაზის გარე) გადართვა (Extra-sentential switching) - A ენის/დიალექტის ფრაზიდან B ენის/დიალექტის ფრაზაზე გადასვლა;
- 4) ფონემურ-მორფემული გადართვა (Intra-word switching) - A ენაში/დიალექტში B ენიდან/დიალექტიდან ფონემათა და მორფემათა სესხება; B ენაზე/დიალექტზე მეტყველებისას A ენისთვის/დიალექტისთვის უჩვეულო ფონემის ჩანაცვლება რომელიმე სხვა ფონემით.
- 5) კალკური გადართვა (Calque switching) - A ენაში/დიალექტში, B ენის/დიალექტის გავლენით, ლექსიკურ-გრამატიკული კალკების სპონტანურად წარმოქმნა.



მუჰაჯირი ქართველების სინოპელ შთამომავალთა მეტყველებაში, ქართულ-თურქული სამეტყველო კოდების აღრევისას, დასტურდება ხუთივე ქვეტიპი, მაგალითად:

1) ქვეტიპი:

რწკედენ ჰიჩ თურქა არ ყოფილა (ერგ.¹⁰) „ადრე არასდროს თურქული არ ყოფილა“ (რწკედენ ჰიჩ < თურქ.: Önceden hiç).

ახლა სჭმელი ჩაწყაროთ და ოზამან (ერგ.) „ახლა საჭმელი ჩავყაროთ და შემდეგ (იმ დროს, მერე)“ (ოზამან < თურქ. O zaman).

დედეები რას აკეთებენ, ჭად ჭამდენ, მესელა (ერგ.) „დედეები რას აკეთებენ, ჭად ჭამდენ მაგალითად (მესელა < თურქ. Mesela)

2) ქვეტიპი:

გუშინ ორ ისანმა საჭმელი გიგიკეთეთ, კად იყო თუ? (ერგ.) „გუშინ ორმა კაცმა საჭმელი რომ გაგიკეთეთ, კარგი იყო?“ (ისანი < // ინსანი < თურქ. İnsan).

3) ქვეტიპი:

ქინძი, ბაშხა ნანემ, ბაშხა ბახ, მეც არ უიცი, ქინძი ბაშხა ყოფილა (ერგ.) „ქინძი, სხვა პიტნა, სხვა ნახე მეც არ ვიცი, ქინძი სხვა ყოფილა“ (ბაშხა ნანემ, ბაშხა ბახ < თურქ. Başka Nanem, başka bak).

4) ქვეტიპი:

ოზამან მე ისე უნა უქნა, აქში-მი ჩაწყარო (ერგ.) „მაშინ მე ისე უნდა ვქნა ამაში ჩავყარო“ (-მი < თურქ. mi).

დოხ, მაგ უნა გარეცხონა (ერგ.) „არა, ის უნდა გარეცხო“ (დოხ < თურქ. yok).

5) ქვეტიპი:

იშთა თურქე უერ იგნებდენ, ბაღუ გურჯუჯე ეტყოდა (ერგ.) „თურქული რომ არ ესმოდა - ბავშვს ქართულად (გურჯულად) ეტყოდა“ (თურქე უერ იგნებდენ < თურქ. Türkçe anlamadığı zaman)

3. მუჰაჯირ ქართველთა ქართული მეტყველება.

¹⁰ შემოკლება ერგ. აღნიშნავს ერგულებს მეტყველებას.



ჩვენი მასალების დიდი ნაწილის მიხედვით მუჰაჯირ აჭარელთა შთამომავლების ამჟამინდელი ქართული მეტყველება ძირითადად შემოიფარგლება აჭარული დიალექტით - ყველა ქართველისათვის განზოგადებულია აჭარული დიალექტი; თუმცა გვაქვს გარკვეული სხვაობებიც; კერძოდ:

სინოპელი მუჰაჯირების მეტყველებაში მიმდინარე ფონეტიკური პროცესებიდან აღსანიშნავია უ-ს (უმარცვლო „უ“) გამოყენების ხშირი შემთხვევები, რომელიც გვხვდება თითქმის ყველა იმ პოზიციაში, სადაც მოსალოდნელია კბილბაგისმიერი ვ. შ. ფუტკარადის თქმით, უ აჭარელ მუჰაჯირებში ძირითადად ისმის იმ ფუძეებში, რომლებშიც ძველ ქართულში იყო ცნობილი: ქუბაში, ძუღლები, კუამლი და სხვ. (იხ. ფუტკარაძე, 2016: 326). ასევე ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალებშიც: ... ქუეშიდა სწლჩას დატყყრით (ერგ.) „ქვევიდან ტომატს დავასხამ“ (ტომატი < თურქ. სალჩა - sal ça), ჩუენი უაზირობა აირია (ერგ.) „ჩვენი საუბარი სხვადასხვაა“, ბეური არხადაშებ გუგდია (ერგ.) „ბევრი ამხანაგი გაუგდია“ და სხვ.

იკარგება მ თავკიდურ პოზიციაში: არ იცის ქი თურქჟე თლათ (ერგ.) „თურქული არ იცის მთლად (საერთოდ)“.

ხშირია „უნდა“ მეშველი ზმნის შეკვეცის შემთხვევები, რომელიც ერწყმის წინამავალ სიტყვას: მაგუნა გარეცხო-ნა (ერგ.) მაგუნა „ის უნდა“, გარეცხო-ნა „უნდა გარეცხო“, სიმინდინა დათესონ (ერგ.) „სიმინდი უნდა დათესონ“ და მისთ.

საგულისხმო ფონეტიკურ თავისებურებას წარმოადგენს **თურქული ენის გავლენით** მეორეული, პალატალიზებული ხმოვნების პოზიციურად გამოვლენა: ჩრნ გატგულიანდით (სინოპ.) „ჩვენ გული დაგვეწვა (დავსევდიანდით); ახლა ჩრნ იქაური ხალხი კითხუა არ უნდა (სინოპ.) „ახლა ჩვენს იქაურ ხალხს კითხვა არ უნდა“; ჩრნ ამას რა ქუოდა (სინოპ.) „ამას რა ერქვა“; თქრნ ემე ასე იჯებიან შიგან (სინოპ.) „თქვენ ასე იმას აკეთებენ შიგნით“ და ა.შ. იგივე ფორმებს, მეტწილად, ასეც წარმოთქვამენ: ჩუენ, ქუიოდა, თქუენ...

რაც შეეხება მორფოლოგიურ სხვაობებს:

სინოპელ ქართველთა თქმაში, ყველა ზმნას ნამყო დროთა მე-3 პირის მრ. რიცხვის დაბოლოებად მოუდის -ეს: წუტდეს, მოტდეს, მაკითხეს... სხუები



ისტამბულა, იქა-იქა წუტდეს (სინოპი) < „წავიდნენ“; ... ჩემი სოფელებში ბაშხად კაცები მოტდეს (ქილიჩ.) შდრ. მოტდეს < „მოვიდნენ“; ბაბომა მაკითხეს... (ერფ.) < „გვაკითხა“

იმავე პოზიციაში ვლინდება -ენ სუფიქსიც: წუტდენ, მოტდენ, მქონდენ, ქონდენ, იჯებოდენ... ესენი მოტდენ (ქილიჩ.), გემით მოტდენ აქ (ერფ.), თუთუნი მქონდენ (ლალა), ცხვარი ქონდენ (ერფ.), ბეჭური ხისმეთი იჯებოდენ (ერფ.).

იშვიათად კავშირებითის ფორმებში, მე-3 პირის მხ. რიცხვის დაბოლოებად გვაქვს -ოს: = მოტდოს - უინცხა მოტდოს (ლალა) (შდრ. II კავშირებითში -ო (-ე, -ა სუფიქსების ნაცვლად) გვხვდება სხვა კილოებშიც. გამოვდ-ო-ს, მოქც-ო-ს (ლივან.), დადგ-ო-ნ, დავრჩ-ო-თ, წოვდ-ო-თ (მაჭახლ.), შეშინდ-ო-ნ, მოქც-ო-ნ (ტაოური) /შ. ფუტკარაძე 2016: 210, 246, 378/. ამგვარი ფორმები გვაქვს ინგილოურშიც (ალიაბადურში): მე-2 კავშ.: დავდგ-ო, გითხრ-ო, დიგიკლ-ო, მოვკლ-ო (გრ. იმნაიშვილი, 1966: 118).

სინოპელთა მეტყველებაში ქართული სხვათა სიტყვის ნაწილაკები ხშირ შემთხვევაში იცვლება შესაბამისი თურქული ნასესხობებით, თუმცა იშვიათად შეინიშნება უცვლელი ფორმითაც: მაგ.: რატომ იქმობდენ და დაჟდენ დედემ, ისტამბოლის დედემ (ერფ.) „რატომ გააკეთეს და დასახლდნენ მეთქი, სტამბოლში მეთქი“ (მეთქი < თურქ. dedi ո), რას იჯებოდენ იმათ დედემ? (ერფ.) „რას აკეთებდნენ მეთქი?“ მაგრამ, შდრ.: ქართული სხვათა სიტყვის ნაწილაკი უცვლელი ფორმით: ერთ ქენარში დამჟდარიყენ და ბალი უტიქნოდით ჩჷენს მეთქი...“ „ერთ მხარეში დასახლებულიყვენ და ...ვიქნებოდით ჩვენც მეთქი“; ბათუმიდან ქი ცაქ გამეიქცენ მეთქი (ერფ.) ბათუმიდან აქ გამოიქცნენ მეთქი და ა.შ. შდრ. თურქ. Yirmi yaşıdayım, dedim დედიმ წარმოშობით თურქული Demek „თქმა“ ზმნის ნამყო სრული დროის პირველი პირის ფორმაა.

სინტაქსური თავისებურებებიდან საყურადღებოა ერგატიული კონსტრუქცია, რომელიც ზოგჯერ ვლინდება დატიური კონსტრუქციის ნაცვლად: ჩემ ძმამ ეცოდნება (ლალა) „ჩემს ძმას ეცოდინება“, და ჩჷენას ნენეებმა სახში არ უაზირობენ გურჯუჯეს (ლალა) „და ჩვენთან დედები სახლში არ საუბრობენ



ქართულად“, ადაფაზარ დამუდარან ძმებმა (ლალა) „ადაფაზარში დასახლებულან ძმები“ და მისთ.

ლექსიკური თავისებურებები:

სინოპელთა მეტყველებაში მშობლიური ენის ლექსიკიდან შემორჩენილია შემდეგი ერთეულები ზოგი შეცვლილი, ზოგი უცვლელი ფორმით: მოტკნაჭე - „გავკრიჭე“ ცხტარი მოტკნაჭე (ლალა); უცხაუთ „ვრეცხავთ“ მატყლი უცხაუთ (ლალა); გაპუმპლაუ - „გაპუტავ“ ქათამი გაპუმპლაუ „ქათამს გაპუტავ“ (ერფ.); წუთხე - „მარილიანი“ მარილი თუ ჩაუყარეთ - წუთხე (ლალა), უწუთხო - „უმარილო“ მარილი არ ჩაუყარეთ - უწუთხოდა (ლალა), საჩიჩელი (ლალა) - საჩიჩელი, ვეწიკებით (ლალა) - ვეზიდებით, პატინად, პაწად (ლალა) - პატარა, ნაჭარი (ლალა) - ქაღალდის ფული, მარჩილი (ლალა) - რკინის ფული, ღარჭი (ქილიჩ.) - ბავშვი, ციცამ (ქილიჩ.) - გოგო და მისთ.

საინტერესო გვეჩვენება შემდეგი ფაქტიც:

ზოგ შემთხვევაში ბორჩხიდან და მაჭახლედიდან წამოსულთა მეტყველებაში დაფიქსირებულია განსხვავებული ლექსიკა:

- „საუბარი“ ბორჩხელისთვის არის „უაზირობა“, ხოლო მაჭახლელისთვის „ლაპარაკი“.
- „გაუგულიანდი“ ბორჩხელისთვის არის: „გული დამეწვა“, „ავტირდი“, „დავევდიანდი“, ხოლო მაჭახლელისთვის „გავგულიანდი“ იგივე გავბლუზდი არის „გავბრაზდი“. მათ შორის არსებულ ამ ტიპის სხვაობაზე მოქმედებებიც შენიშნავენ: „მაჭახლელის ვაზირობა ბორჩხას ვაზირობაზე მეტი ვერ გეიგნებენ. ვერ გეიგნებენ... მაჭაჰელის ლაპარაკი დაჰა წმინდაა, ბორჩხას დაჰა ბაშქა“.

ამრიგად, თურქეთის რესპუბლიკის სინოპის ილის სინოპის ილჩეში დღემდე შემორჩენილია მუჰაჯირ ქართველთა ქართული მეტყველება, რომელიც ძირითადად ჰგავს აჭარულ კილოს, მაგრამ ახასიათებს გარკვეული თავისებურებებიც; კერძოდ, საკუთრივ ქართული სამეტყველო კოდების შერევის გარდა, აღსანიშნავია, თურქული და ქართული სალიტერატურო ენების გავლება; კერძოდ, გასული საუკუნის 50-იანი



წლებიდან მოყოლებული (როცა თურქეთში თურქულენოვანი საშუალო განათლება ყველასთვის სავალდებულო გახდა), ქართველ მუჰაჯირთა მეტყველებაც უწყვეტად განიცდის სამწიგნობრო თურქული ენის წამლეკავ ზემოქმედებას. ბოლო პერიოდში თურქეთელ ქართველთა დიალექტური მეტყველება განიცდის, ასევე, სალიტერატურო ქართული ენის გავლენას; შესაბამისად, სინოპელ ქართველთა მეტყველება შეგვიძლია განვიხილოთ აჭარული კილოს სახესხვაობად - ქართველური დიალექტური მეტყველების ახალ სახესხვაობად. ვფიქრობთ, უფრო გამართლებულია, „ჩვენებურების ქართული“ ვუწოდოთ მხოლოდ მუჰაჯირ ქართველთა მეტყველებას, რადგანაც მუჰაჯირთა მეტყველებისაგან განსხვავდება როგორც ქართული ენის ტაოური, ასევე, იმერხეული და ლივანური დიალექტები“¹¹.

140 წლის განმავლობაში მიმდინარე სამეტყველო კოდების შერევის გამო ისტორიული დედაენა დაცული აქვს მხოლოდ უფროს თაობას; ამ თაობის უმეტესობამ სუსტად იცის თურქული ენა. საშუალო თაობაში ფართოდაა გავრცელებული ქართულ-თურქული ბილინგვური მიმართება. უმცროსი თაობა კი თითქმის მთლიანად გადასულია თურქულ ენაზე, რომელიც მათთვის უფრო პრესტიჟულია, ვიდრე წინაპრების დედაენა; შესაბამისად, სინოპში ქართველური ენის აჭარულ დიალექტს ახლო მომავალში სრული გაქრობის საფრთხე ემუქრება. საფრთხეს ზრდის ისიც, რომ ახალი თაობის ის წარმომადგენლები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან წინაპრების ენის შესწავლითა და საქართველოსთან ურთიერთობით, სწავლობენ ქართულ სალიტერატურო ენას: სამწიგნობრო ქართული ენის შესწავლის შემდეგ, ისინი პრინციპულად ცდილობენ, „სწორად“ იმეტყველონ და თავს არიდებენ დიალექტიზმებს.

დამოწმებული ლიტერატურა:

ასანი, 2016: Hakan Asan, Devlet aşiret ve eşkıya bağlamında osmanlı muhacir iskân siyaseti (1860-1914) / Göç araştırmaları dergisi, 3-2, s. 34-61; Ankara, 2016;

¹¹ შდრ., ტერმინით „ჩვენებურების ქართული“ შ. ფუტყარაძე აერთიანებს თურქეთში არსებულ რამდენიმე ქართულ დიალექტს: ტაოურს (ტაოს ქართულს) და კლარჯულ დიალექტებს: ლივანურს (ნიგალურს), მაჭახლსა და იმერხეულს (შ. ფუტყარაძე, 2016: 9-13).



- დიალექტოლოგია, 1961: ივანე გიგინეიშვილი, ვარლამ თოფურია, ივანე ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია I, თბილისი, 1961;
- იმნაიშვილი, 1966: გრიგოლ იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბილისი, 1966;
- ნიჟარაძე, 1961: შოთა ნიჟარაძე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, ბათუმი, 1961;
- ნიჟარაძე, 1975: შოთა ნიჟარაძე, აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1975;
- ნოლაიდელი, 1936: ჯემალ ნოლაიდელი, აჭარა დიალექტოლოგიურად, ბათუმი, 1936;
- ნოლაიდელი, 1972: ჯემალ ნოლაიდელი, აჭარა დიალექტოლოგიურად, ნარკვევები და ჩანაწერები II, დიალექტოლოგიის საკითხები, ბათუმი, 1972;
- სიმონიანი, 2007: Hovann H. Simonian, The Hemshin: History, society and identity in the Highlands of Northeast Turkey, New York, 2007;
- ფაღავა, 2013: მამია ფაღავა, ქობულეთურის ზოგიერთი თავისებურება მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების მიხედვით. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული VII, ბათუმი, 2013;
- ფაღავა, ცეცხლაძე, 2017: მამია ფაღავა, ნანა ცეცხლაძე, სამხრული კილოები - ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები, თბილისი, 2017;
- ფუტკარაძე, 2016: შუშანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, წიგნი მეორე, ბათუმი, 2016;
- მიძიგური, 1974: შოთა მიძიგური, ქართული დიალექტოლოგიის მასალები, თბილისი, 1974;
- ჯორბენაძე, 1989: ბესარიონ ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია I, თბილისი, 1989.